ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის („ბ“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად რექტორის 2020 წლის 9 ივლისის N127/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 ივლისის N68/2020 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **“9“ სექტემბერი 2020 წ.**

15.30 საათი, თსუ I კორპუსი, აუდიტორია №308

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან ხუთივე წევრი:

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის („ბ“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ლადო მინაშვილის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის („ბ“ კატეგორია) 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 2 კანდიდატმა _ ლევან ბებურიშვილმა და მაია ცერცვაძემ.

შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მაია ცერცვაძემ მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოთხოვნებს“, მოიხსნა კონკურსიდან და არ გადავიდა შეფასების შემდგომ ეტაპზე. შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ლევან ბებურიშვილმა მიიღო შეფასება _ „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო შეფასება „მაღალი“; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო შეფასება „მაღალი“; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3). გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ლევან ბებურიშვილის კანდიდატურას.

დაადგინეს: ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის („ბ“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ლევან ბებურიშვილი.

კომისიის თავმჯდომარე: ლადო მინაშვილი

მოადგილე: მარიამ მირესაშვილი

წევრები: ქეთევან სიხარულიძე

თამარ ციციშვილი

კომისიის მდივანი: თამარ შარაბიძე

თარიღი: 09.09. 2020.